

„სკოლა–ბანკის“ პროგრამის (SchoolBank) გაკვეთილების გეგმა

გაკვეთილის დასახელება	გაკვეთილის მოკლე შინაარსი და მიზნები	მეთოდოლოგია / აქტივობები
1. რატომ ვზოგავთ?	მოკლე შინაარსი: ამ გაკვეთილზე მოსწავლეები განიხილავენ, თუ რა არის დაზოგვა და რა მიზნით ზოგავენ ადამიანები. „პრობლემების ხის“ მეთოდის გამოყენებით, ბავშვები იმსჯელებენ მიზეზებზე, რომელთა გამოც ადამიანებს ხშირად არ გამოსდით დაზოგვა, და იმ შედეგებზე, რომლებიც დანაზოგების ნაკლებობას შეიძლება მოჰყვეს. ეს გაკვეთილი მოამზადებს ნიადაგს იმისთვის, რომ შემდეგ გაკვეთილებზე ბავშვებმა საბანკო შემნახველ პროდუქტებზე ისაუბრონ. გაკვეთილის მიზნები: • ბავშვები ისწავლიან, რომ ადამიანები ბევრი სხვადასხვა მიზნისთვის ინახავენ ფულს; თუმცა, ყველა თანხმდება, რომ დაზოგვა ზრდის მოულოდნელი ფინანსური გამოწვევებისთვის მზაობას და საშუალებას გვაძლევს ჩვენი ჩანაფიქრები სისრულეში მოვიყვანოთ. • მოსწავლეები განიხილავენ, თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს დაზოგვისთვის თავის არიდებას. ხანგრძლივობა: 1 საათი	• გამამხნეველი სავარჯიშო: მიწისძვრა! • თამაში ბურთით: რატომ ვზოგავთ? • პრობლემების ხე: დანაზოგების ნაკლებობა • გაკვეთილის შეჯამება
2. საბანკო პროდუქტები და ტერმინები	მოკლე შინაარსი: ეს გაკვეთილი მოსწავლეებს შემნახველ საბანკო პროდუქტებსა და ზოგიერთ საბანკო ტერმინს გააცნობს, რაც მათ შემდეგ გაკვეთილებზე საბანკო საკითხების უფრო სიღრმისეულად შესასწავლად მოამზადებს. ამ გაკვეთილზე ბავშვები ფორმალური გზით დაზოგვაზე გაამახვილებენ ყურადღებას, მე–5 გაკვეთილიდან კი სასესიო პროდუქტების შესწავლას	• წინა გაკვეთილის მიმოხილვა • ჯგუფური სავარჯიშო: „საბანკო საკითხების მოზაიკა“

	დაიწყებენ. ბავშვებს კვლავაც მოუწევთ ჯგუფურად მუშაობა და გაკვეთილის დასასრულს, ნასწავლი მასალის შეჯამება. გაკვეთილის მიზნები: • მოსწავლეები შემნახველ საბანკო პროდუქტებსა და რიგ საბანკო ტერმინებს გაეცნობიან, როგორიცაა დეპოზიტი და საპროცენტო სარგებელი. • მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის დეპოზიტებს შეადარებენ ერთმანეთს. ხანგრძლივობა: 45 წუთი	• გაკვეთილის შეჯამება
3. რა ხდება ბანკში?	მოკლე შინაარსი: ეს გაკვეთილი მოსწავლეებს ბანკის ძირითადი ფუნქციებისა და პროდუქტების გააზრებაში დაეხმარება და მათ მომავალში ბანკთან თანამშრომლობისთვის მოამზადებს. ბავშვები ასევე განიხილავენ, თუ როგორ ხდება საბანკო ანგარიშის გახსნა. ეს გაკვეთილი განაგრძობს იმ ცოდნას, რომელიც მოსწავლეებმა მე-2 გაკვეთილზე მიიღეს. გაკვეთილის მიზნები: • მოსწავლეები განიხილავენ, თუ რას საქმიანობს ბანკი. • მოსწავლეები განიხილავენ, თუ როგორ უნდა გაიხსნას ანგარიში ბანკში. ხანგრძლივობა: 1 საათი და 15 წუთი	• წინა გაკვეთილის მიმოხილვა • ვვვ ცხრილი ბანკების შესახებ • საბანკო ტერმინების თამაში „სავარჯიშო სირბილში“ • 6 ნაბიჯი ანგარიშის გასახსნელად • გაკვეთილის შეჯამება: „ვვვ ცხრილი“
4. ფინანსური სისტემა	მოკლე შინაარსი: ეს გაკვეთილი მიმოიხილავს ფინანსურ სისტემას და მოსწავლეებს ამ სისტემის ისეთ საკვანძო მონაწილეებს გააცნობს, როგორიცაა კომერციული ბანკები, ეროვნული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო კომპანიები და საფონდო ბირჟა. გაკვეთილის მიზნები:	• წინა გაკვეთილის მიმოხილვა • თეატრალური სავარჯიშო: „მანქანა“/ „გაითამაშე სცენა“

	• ბავშვები ისწავლიან, რომ ფინანსური სისტემა კომპლექსური სტრუქტურაა და მის თითოეულ ნაწილს განსაკუთრებული როლი ენიჭება. • მოსწავლეები გაეცნობიან ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიებისა და საფონდო ბირჟის ფუნქციებს. ხანგრძლივობა: 1 საათი და 5 წუთი	• ჯგუფური სამუშაო: „ფინანსური სისტემის მოზაიკა“ • ტესტირება ფინანსური სისტემის შესახებ • თამაში: „ფინანსური მანქანა“ / „გაითამაშე ფინანსური სცენა“
5. როგორ მივიღოთ გადაწყვეტილება?	მოკლე შინაარსი: ამ გაკვეთილზე ბავშვები იმსჯელებენ, თუ რა პრინციპით უნდა მიიღონ გადაწყვეტილება რაიმეს შეძენასთან დაკავშირებით. ბავშვები ასევე განიხილავენ ზოგად კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც უნდა შეარჩიონ ბანკი, სადაც ანგარიშის გახსნას ისურვებდნენ. ბავშვები ისწავლიან, რომ ნებისმიერი ნივთის ან მომსახურების შეძენამდე კარგად უნდა დაფიქრდნენ, შეისწავლონ საკუთარი სურვილები და შემოთავაზებულ პროდუქტებთან დაკავშირებული პირობები, და გადაწყვეტილება მხოლოდ გარკვეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიიღონ. გაკვეთილის მიზნები: • ზოგადი კრიტერიუმების განხილვა, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური პროდუქტების/მომსახურებების შერჩევა. • ბავშვებისთვის საბანკო ეთიკის ცნების გაცნობა. ხანგრძლივობა: 1 საათი და 5 წუთი	• წინა გაკვეთილის მიმოხილვა • არჩევანის გაკეთება • როგორ შევარჩიოთ ბანკი და საბანკო პროდუქტი? • ბანკის შერჩევის კრიტერიუმები • გაკვეთილის შეჯამება
6. მომხმარებლის უფლებები: შესავალი	მოკლე შინაარსი: ეს გაკვეთილი მოსწავლეებს ზოგადად გააცნობს მომხმარებლის უფლებებს და შემდეგ გაკვეთილზე კონკრეტულად ფინანსური სექტორის მომხმარებლის უფლებების შესასწავლად მოამზადებს. გაკვეთილი იწყება ცნების „უფლება“ განხილვით, რასაც ინტერაქტიული სავარჯიშო მოჰყვება. ბავშვები განიხილავენ საკუთარ მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, თუ	• წინა გაკვეთილის მიმოხილვა • „გამამხნეველები“ დისკუსია

	როგორი უნდა იყოს მომხმარებლების მიმართ მოპყრობა. გაკვეთილის მიზნები: • მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ მომხმარებლის უფლებები ადამიანის უფლებების ჩარჩოს ნაწილია. • ბავშვებმა განიხილონ ის უფლებები, რომლებითაც მომხმარებელი ფინანსურ ინსტიტუტებთან მიმართებაში სარგებლობს. • მოსწავლეებმა გამოიმუშაონ თავდაჯერებულობის გრძნობა, რათა მარტივად შეძლონ სხვადასხვა საქონლისა თუ მომსახურების გამყიდველთან ურთიერთობა და საკუთარი თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღება. ხანგრძლივობა: 1 საათი და 5 წუთი	• სავარჯიშო: „ადამიანის უფლებები და თავისუფლებები“ • სავარჯიშო: „მომხმარებელი ყოველთვის მართალია“ • გაკვეთილის შეჯამება
7. ბანკი და მომხმარებლის უფლებები	მოკლე შინაარსი: ეს გაკვეთილი მე–6 გაკვეთილზე მიღებულ ინფორმაციას განავრცობს და ბავშვებს ბანკებთან მიმართებაში მომხმარებლების უფლებებზე დააფიქრებს. ამ გაკვეთილზეც გამოვიყენებთ აქტიური სწავლების ისეთ ფორმებს, როგორიცაა ჯგუფური მოზაიკა. გაკვეთილის მიზნები: • მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ მომხმარებლები კონკრეტული უფლებებით სარგებლობენ ბანკებთან და ზოგადად, ფინანსურ ინსტიტუტებთან მიმართებაში. • მოსწავლეებმა განიხილონ, თუ რაში მდგომარეობს მათი, როგორც ფინანსური სექტორის მომხმარებელთა ძირითადი უფლებები, და როგორ შეუძლიათ მოიქცნენ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. ხანგრძლივობა: 1 საათი და 10 წუთი	• წინა გაკვეთილის მიმოხილვა • სავარჯიშო: „მომხმარებლის უფლებების მოზაიკა“ • სავარჯიშო: „დაეხმარეთ თეონას“ • როლური თამაში: „მომხმარებლის უფლებები“ • გაკვეთილის შეჯამება
8.	მოკლე შინაარსი: ამ გაკვეთილზე ბავშვები ისწავლიან, რომ მომხმარებლებს, უფლებების	• წინა გაკვეთილის მიმოხილვა

მომხმარებლის პასუხისმგებლობები: ნაწილი I	გარდა, პასუხისმგებლობებიც ეკისრებათ. მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ ყველა სიტუაციაში უნდა გამოიჩინონ პროაქტიულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა, რათა მათი ინტერესები და უფლებები იქნეს დაცული. გაკვეთილი იწყება უფლებების თანმდევი პასუხისმგებლობების განხილვით. გაკვეთილის მიზნები: • მოსწავლეები იმსჯელებენ ადამიანის უფლებების, და ამ უფლებების შესაბამისი პასუხისმგებლობების მაგალითებზე; ამ გზით, ისინი გაიაზრებენ, რომ ჩვეულებრივ, უფლებებს პასუხისმგებლობებიც ახლავს თან. • მოსწავლეები დაფიქრდებიან იმაზე, თუ რა პასუხისმგებლობები შეიძლება ეკისრებოდეთ ბანკებთან და ზოგადად, ფინანსურ ინსტიტუტებთან მიმართებაში. ხანგრძლივობა: 50 წუთი	• სავარჯიშო სირბილში : „მომხმარებლის პასუხისმგებლობები“ • „კიდევ ერთხელ დავხმაროთ თეონას“ • გაკვეთილის შეჯამება
9. მომხმარებლის პასუხისმგებლობები: ნაწილი II	მოკლე შინაარსი: ამ გაკვეთილზე მოსწავლეები მომხმარებლის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს შეაჯამებენ. ამასთან, ბავშვები ისწავლიან, თუ როგორ უნდა აღმოაჩინონ დროულად, ირდვევა თუ არა მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები. ამ გაკვეთილზე გამოიყენება აქტიური პედაგოგიკის მეთოდები, რათა მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენს. გაკვეთილის მიზნები: • მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების ცოდნა მათ ბანკებთან ურთიერთობაში რისკებისგან დაიცავს და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება. • ბავშვები შეაჯამებენ, თუ რა კონკრეტული უფლებები და	• წინა გაკვეთილის მიმოხილვა • „სამახსოვრო ბარათები“: მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები • როლური თამაში: მომხმარებლის პასუხისმგებლობები • გაკვეთილის შეჯამება

	პასუხისმგებლობები აქვთ მომხმარებლებს ბანკებთან მიმართებაში. ხანგრძლივობა: 50 წუთი	
10. ფინანსური თაღლითობა: ნაწილი I	მოკლე შინაარსი: ამ გაკვეთილზე ბავშვები ფინანსური თაღლითობის რამდენიმე ზოგად ფორმას გაეცნობიან და თითოეულის თავისებურებებს განიხილავენ. ეს გაკვეთილი მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობის საჭიროებს და აქტიური სწავლების ისეთ ფორმებს მოიცავს, როგორიცაა „ვვვ“ („ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“) სავარჯიშო და „სავარჯიშო სირბილში“. გაკვეთილის მიზნები: • მოსწავლეები განიხილავენ თაღლითობის რამდენიმე ზოგად ფორმას, რომელთა ცოდნაც ყველა მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია. • მოსწავლეები ისწავლიან, თუ როგორ უნდა მიხვდნენ, რომ შესაძლოა თაღლითობის მსხვერპლნი გახდნენ. ხანგრძლივობა: 1 საათი და 15 წუთი	• წინა გაკვეთილის შეჯამება • „ვვვ“ ცხრილი თაღლითობის თემაზე • „სავარჯიშო სირბილში“ თაღლითობის თემაზე • ჯგუფური სამუშაო: ცოდნის გაცვლა–გამოცვლა • ზეპირი ტესტირება თაღლითობის თემაზე • გაკვეთილის შემაჯამებელი სავარჯიშო
11. ფინანსური თაღლითობა: ნაწილი II	მოკლე შინაარსი: ამ გაკვეთილზე მოსწავლეები ფინანსური თაღლითობის გავრცელებულ ფორმებს კიდევ ერთხელ, უფრო დეტალურად განიხილავენ. გაკვეთილზე ყურადღება გამახვილდება იმ ნაბიჯებზე, რომლებიც მომხმარებლებმა უნდა გადადგან თაღლითობის თავიდან ასარიდებლად და მის უარყოფით შედეგებთან საბრძოლველად. ბავშვები ჩაერთვებიან თავისუფალი წერის სავარჯიშოში, რომლის ფარგლებშიც დაწერენ 5–სტრიქონიან ლექსებს, რომლებსაც „სინქუენი“ (Cinquain) ეწოდება. „სინქუენი“ ჰაიკუს მსგავსი პოეტური ფორმაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს რთული ინფორმაცია	• წინა გაკვეთილის მიმოხილვა • ჯგუფური სამუშაო–მოზაიკა • ტესტირება: „თავი დავიცვათ თაღლითობისგან!“ • თავისუფალი წერა:

	(ჩვენს შემთხვევაში, თაღლითობის შესახებ) მოკლედ და ლაკონურად, ჩვენი სიტყვებით გადმოვცეთ. „სინქუნის“ მთავარი დანიშნულებაა რამდენიმე საკვანძო სიტყვის მიღმა მწერლის ცოდნა და ჩანაფიქრი წარმოაჩინოს. გაკვეთილის მიზნები: • ბავშვები კიდევ ერთხელ განიხილავენ, თუ რა ფორმის თაღლითობასთან შეიძლება მოუწიოთ შეჯახება. • მოსწავლეები დაისახავენ სტრატეგიებს ფინანსური თაღლითობის თავიდან ასარიდებლად და თაღლითობის შედეგებთან საბრძოლველად. ხანგრძლივობა: 1 საათი	„სინქუნი“
12. შესავალი ფულისა და ვალუტის სამყაროში	მოკლე შინაარსი: ამ გაკვეთილზე ბავშვები ფულისა და ვალუტის შესახებ ისაუბრებენ. ბავშვები ისწავლიან ფულის განვითარების ისტორიას უძველესი დროიდან თანამედროვე გადახდის ელექტრონულ საშუალებებამდე, გაეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის ვალუტას, ივარჯიშებენ ვალუტის კონვერტაციაში და ისწავლიან, თუ როგორ უნდა ამოიცნონ ყალბი ბანკნოტები. გაკვეთილის მიზნები: • ბავშვები განიხილავენ, თუ როგორ განვითარდა ფული უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. • ბავშვები გაეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის ვალუტას და ივარჯიშებენ ვალუტის კონვერტაციაში. • ბავშვები ისწავლიან, თუ როგორ უნდა ამოიცნონ ყალბი ბანკნოტები. ხანგრძლივობა: 1 საათი და 25 წუთი	• წინა გაკვეთილის მიმოხილვა 5 წთ • „333“ ცხრილი ფულისა და ვალუტის შესახებ • ფულის ისტორია • სასწავლო ბარათები: ქვეყნები და ვალუტები • ფინანსური განათლების ბარათების დამზადება • „333“ ცხრილი შეჯამებისთვის
13. საბანკო ბარათები	მოკლე შინაარსი: ამ გაკვეთილზე ბავშვები განიხილავენ უსაფრთხოების წესებს, რომლებიც ბანკომატის გამოყენებისას უნდა დაიცვან. მოსწავლეები ერთმანეთს	• წინა გაკვეთილის მიმოხილვა

	შეადარებენ სადებეტო და საკრედიტო ბარათებს და შეაფასებენ როგორც მათ სარგებლიანობას, ისე მათთან დაკავშირებულ რისკებს. დღევანდელი გაკვეთილის აქტივობები მოსწავლეებისგან დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების გამოჩენას მოითხოვს. გაკვეთილის მიზნები: • ბავშვები ისწავლიან ბანკომატით სარგებლობას და ამ პროცესთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესების დაცვას. • მოსწავლეები განიხილავენ საკრედიტო და სადებეტო ბარათების ძირითად მახასიათებლებს და გაიაზრებენ როგორც თითოეულის სარგებლიანობას, ისე დაკავშირებულ რისკებს. • ბავშვები განიხილავენ სხვადასხვა გზას, რომლითაც საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ საფასურის გადახდაა შესაძლებელი. ხანგრძლივობა: 1 საათი	• უსაფრთხოების წესები ბანკომატით სარგებლობისას • ვენის დიაგრამა: „საკრედიტო ბარათი და სადებეტო ბარათი“ • თამაში კუბებით: „საკრედიტო ბარათი და სადებეტო ბარათი“ • როლური თამაში: „საკრედიტო ბარათი და სადებეტო ბარათი“
14. საბანკო ამონაწერი	მოკლე შინაარსი: ამ გაკვეთილზე ბავშვები საბანკო ამონაწერს გაარჩევენ, რაც მათ არამხოლოდ პირადი ფინანსების კონტროლსა და განკარგვაში დაეხმარება, არამედ საბანკო დოკუმენტებთან მუშაობასაც ასწავლის. დღევანდელი გაკვეთილი საფუძველს მოამზადებს იმისთვის, რომ ბავშვებმა შემდეგ გაკვეთილზე პერსონალური ბიუჯეტის შედგენა შეძლონ. გაკვეთილის მიზნები: • ბავშვები ისწავლიან, თუ როგორ უნდა განიხილონ თანხების მოძრაობა საბანკო ანგარიშზე; • ბავშვები ისწავლიან, თუ რა ინფორმაციაა მოცემული საბანკო ამონაწერის თითოეულ ველში, და რატომ უნდა ადევნონ თვალყური საკუთარ ფინანსებს; • ბავშვები შეეჩვევიან საბანკო ტერმინოლოგიასა და დოკუმენტებს, რაც მათ მომავალში ხელს შეუწყობს საბანკო სისტემასთან ეფექტიან ურთიერთობაში.	• წინა გაკვეთილის მიმოხილვა • გამამხნეველებელი თამაში: „იარე/შეჩერდი“ / „Zip. Zap. Zoom“ • ჯგუფური სამუშაო: თორნიკეს საბანკო ამონაწერის წაკითხვა • ჯგუფური სამუშაო: თორნიკეს დღიური • გაკვეთილის შეჯამება

	ხანგრძლივობა: 1 საათი	
15. პერსონალური ბიუჯეტი	მოკლე შინაარსი: ეს დღევანდელი გაკვეთილი განაგრძობს წინა გაკვეთილზე განხილულ საკითხებს, და ბავშვებს პირადი ფინანსების ანალიზსა და ეფექტურად მართვაში დაეხმარება. ამას გარდა, ბავშვები ისწავლიან, თუ როგორ უნდა შეადგინონ პერსონალური ბიუჯეტი, რაც გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების, დაზოგვისა და არააუცილებელი ხარჯების შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გაკვეთილის მიზნები: • ბავშვები ისწავლიან, თუ როგორ უნდა შეადგინონ პირადი ბიუჯეტი; • ბავშვები იმსჯელებენ ფულის დაზოგვისა და ხარჯების შემცირების გზებზე; • ბავშვები გააანალიზებენ საკუთარ ფინანსურ ქცევებსა და დამოკიდებულებებს. ხანგრძლივობა: 50 წუთი	• გამამხნევებელი სავარჯიშო: „გავიხსენოთ წინა გაკვეთილი“. • ტესტირება საბანკო ამონაწერის შესახებ. • თორნიკეს პერსონალური ბიუჯეტი. • გაკვეთილის შემაჯამებელი სავარჯიშო.